

მინი-ფეხბურთის
სასკოლო ლიგა
2022-2023



დებულება

თბილისი 2022

როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს

1. სლოგანი

„როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს“

2. განხორციელების ვადები

- 10.22.2022-25.07.2023

3. მიზნები და ამოცანები

- საქართველოში მინი-ფეხბურთის პოპულარიზაცია პროფესიონალურ და სამოყვარულო დონეზე;
- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და თავისუფალი დროის ფიზიკური აქტივობით შევსება;
- მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისთვის მყარი საფუძველის შექმნა;
- მოტივაციის ამაღლება სკოლის მოსწავლეებში, მათი სპორტული ღონისძიებებით დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა;
- სასკოლო სპორტული შეჯიბრებების სისტემის შემუშავება ინოვაციური მეთოდების და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- მასობრივი სპორტული ღონისძიებებით კერძო სექტორის დაინტერესება;
- ტალანტების აღმოჩენა;
- მინი-ფეხბურთის სასკოლო კლუბების ჩამოყალიბება და განვითარება.

4. ორგანიზატორი

- ა(ა)იპ „სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაცია“.



GEORGIA
Minifootball Association



5. მხარდამჭერები

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;
- საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.
- სააფთიაქო ქსელი „პსპ“

6. მონაწილეობა, რეგისტრაცია

- ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლები.
- სკოლის გუნდები უნდა დაკომპლექტდეს 14- დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებისგან;
- გუნდის ყველა წევრი უნდა იყოს შესაბამისი სკოლის მოსწავლე, როგორც ტურნირზე რეგისტრაციისას, ასევე მის დასრულებამდე;
- შესაძლებელია ორი ისეთი სკოლის გაერთიანებული გუნდის რეგისტრაცია, რომელთა ვაჟი მოსწავლეების საერთო რაოდენობა არ აღემატება 100 მოსწავლეს;
- გუნდების რეგისტრაცია მოხდება სკოლების მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე (იხ. განაცხადის ფორმა);
- თითოეულმა გუნდმა რეგისტრაციისთვის განაცხადის ფორმას უნდა დაურთოს გუნდის წევრების იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელთა სიაც თან ერთვის განაცხადის ფორმას.
- რეგისტრაციისათვის გუნდს აუცილებლად უნდა გააჩნდეს სრულყოფილი სათამაშო ფორმა (შორტი, მაისური, გეტრი); (ფორმების დაბრუნდვას უზრუნველყოფს ასოციაცია;)
- სპორტული ეკიპირების გარეშე მოთამაშე ვერ მიიღებს კონკრეტულ მატჩში მონაწილეობას.
- პასუხისმგებელი პირის გარეშე, სკოლის გუნდი კონკრეტულ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს.
- ტურნირზე რეგისტრირებულმა გუნდის მონაწილეებმა (მოთამაშეები, წრმომადგენლები), ტურნირის დაწყებამდე უნდა გაიარონ სავალდებულო აკრედიტაცია, ორგანიზატორის მიერ შერჩეულ თარიღებში.
- მინი-ფეხბურთის სასკოლო ლიგაზე მონაწილე გუნდების განაცხადში უნდა იყოს არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 მოთამაშე. ტურნირის მსვლელობისას გუნდებს უფლება ექნებათ განაცხადში განახორციელონ არაუმეტეს 4 ცლილება.

7. შეჯიბრის ჩატარების ეტაპები

- I ეტაპი - გუნდების რეგისტრაცია;
- II ეტაპი - საინფორმაციო შეხვედრა, ტურნირის ელექტრონული პორტალის პრეზენტაცია, კენჭისყრა;
- III ეტაპი - ტურნირის გახსნის ცერემონია;
- IV ეტაპი - ქვეჯგუფის მატჩები;
- V ეტაპი - ფლეიოფის კენჭისყრა;
- VI ეტაპი - ფლეიოფის მატჩები;
- VII ეტაპი - ფინალური მატჩი და ტურნირის დახურვის ცერემონია;
- VIII ეტაპი - ღონისძიების შედეგების პრეზენტაცია და შეფასება.

8. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- ტურნირი ჩატარდება ლიგის და ფლეიოფის სისტემით;
- მონაწილე გუნდები კენჭისყრის საფუძველზე გადანაწილდებიან ქვეჯგუფში;
- ქვეჯგუფის მატჩები გაიმართება ერთ წრედ;
- გუნდების მიერ ჯგუფში დაკავებული ადგილები განისაზღვრება დაგროვილი ქულების მიხედვით (მოგება -3 ქულა, ფრე -1 ქულა, წაგება - 0 ქულა);
- სატურნირო ცხრილში თანაბარი ქულების შემთხვევაში გუნდების მიერ დაკავებული ადგილები განისაზღვრება შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:
 - ურთიერთ შეხვედრაში ნაჩვენები შედეგი;
 - გატანილი და გაშვებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
 - მოგების რაოდენობა;
 - გატანილი ბურთების რაოდენობა;
 - ყვითელი და წითელი ბარათების რაოდენობა;
 - კენჭისყრა.
- ქვეჯგუფის მატჩი შედგება ორი 15-წუთიანი ტაიმისგან, 5-წუთიანი შესვენებით;
- ფლეიოფის მატჩი შედგება ორი 20-წუთიანი ტაიმისგან, 5 - წუთიანი შესვენებით;
- ფლეიოფის მატჩის ფრედ დამთავრების შემდეგ გამარჯვებულის გამოსავლენად 3-3 პენალტი დაინიშნება, თუ შედეგს მაინც ვერ მივიღებთ, თითო-თითო პენალტი დაინიშნება საბოლოო გამარჯვებულის გამოვლენამდე.

9. მატჩების გამართვის წესები

- ტურნირის თითოეულ მატჩს მოემსახურება არბიტრი და მატჩის ხელმძღვანელი პირი;
- მატჩები გაიმართება მსოფლიოს მინი ფეხბურთის ფედერაციის WMF ოფიციალური წესების მიხედვით;
- მატჩები გაიმართება 6/6-ზე მეკარის ჩათვლით;
- თითოეულ ტაიმში მატჩის მონაწილეებს საშუალება ექნებათ თითოჯერ გამოიყენონ წუთშესვენება;
- ცვლილებების განხორციელება შეუზღუდავია და შესაძლებელია მხოლოდ მატჩის არბიტრის ნებართვის შემდეგ;
- სტანდარტული სიტუაციების გათამაშება მოხდება მინი ფეხბურთის წესების მიხედვით. აღნიშნულ წესებს, ყოველი მატჩის დაწყების წინ, მონაწილე გუნდების კაპიტნებს განუმარტავს მატჩის არბიტრი.
- თამაშის დასაწყებად აუცილებელია განაცხადში მყოფი მინიმუმ 6 ფეხბურთელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამის გუნდს ჩაეთვლება ტექნიკური წაგება ანგარიშით 0:5;
- მატჩების ჩატარების დრო განისაზღვრება ორგანიზატორის მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით;

10. სადისციპლინო სასჯელი

- მატჩში მონაწილეობის უფლების არმქონე ფეხბურთელის თამაშის შემთხვევაში, დამრღვევ გუნდს ჩაეთვლება წაგება ანგარიშით 0-5.
- გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გუნდს ჩაეთვლება წაგება 0-5;
- მატჩში გაძევებული მოთამაშე (წითელი ან ორი ყვითელი ბარათით) ტოვებს მოედანს და 2 წუთის შემდეგ მსაჯის ნებართვით სხვა მოთამაშეს შეუძლია მატჩში ჩართვა. გაძევებულ მოთამაშე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი საკითხი გადაეცემა სადისციპლინო კომიტეტს) გამოტოვებს მომდევნო მატჩს.
- სხვადასხვა მატჩში მიღებული 3 ყვითელი ბარათის შემთხვევაში, მოთამაშე გამოტოვებს შემდეგ მატჩს;
- არასპორტული საქციელის ჩადენის შემთხვევაში, სადისციპლინო სასჯელზე იმსჯელებს ორგანიზატორთა ჯგუფი, რომლის გადაწყვეტილებაც სავალდებულო იქნება;

როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს

- გუნდი რომელსაც დაუგროვდება 2 ტექნიკური წაგება, ავტომატურად მოიხსნება ტურნირიდან. ამასთან შესაბამისი სკოლა მიიღებს დისკვალიფიკაციას შემდეგი წლის ტურნირისათვის;
- თუ გუნდი მოიხსნება ტურნირიდან, ყველა იმ მატჩში როემელშიც იგი არ დამარცხებულა 5-ზე მეტი ბურთის სხვაობით, ჩათვლება წაგება 0-5, გარდა ფლეიოფის მატჩებისა სადაც ეს წესი იმოქმედებს მხოლოდ კონკრეტულ მატჩზე.
- მატჩის ხელმძღვანელი პირი ან ტურნირის შესაბამისი ლოკაციის მენეჯერი უფლებას იტოვებს, ნებისმიერ დროს შეაჩეროს მატჩი და კონკრეტული მოთამაშის (მოთამაშეების) ან გუნდის წარმომადგენლის ან მთლიანად გუნდის მიმართ განახორციელოს სადისციპლინო ზომები, კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

ა(ა)იპ „სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაცია“.

მისამართი: თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი 104. ბ. 40

ტელ: +995 557003331; +995 558167651

ვებ გვერდი : www.sfl.ge

Email: minifootball.ge@gmail.com

